

ინფორმაცია საქართველოში 2006 წელს კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის სპეციალობით დაცული დისერტაციების შესახებ.

კ. მუმლაძე, ნ. კერვალიშვილი

(კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო).

**The report on “Ph.D. theses” in a speciality of the “Critical Care Medicine” in 2006 in Georgia.**

**K. Mumladze, N. Kervalishvili.**

**(Critical Care Medicine Institute, Tbilisi, Georgia).**

2006 წელს საქართველოში „კრიტიკული მდგომარეობათა მედიცინის სპეციალობით“ დაცული იქნა სამი დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

დისერტაციების დაცვა მოხდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალიზირებულ სამეცნიერო საბჭოზე (14.00.37).

6 იანვარს წარმოდგენილი იყო თეონა ქურციკიძის სადისერტაციო ნაშრომი: “პაციენტთა ფსიქო-ემოციური სტატუსი და სედაციის ჩატარების კრიტერიუმები ამბულატორიულ სტომატოლოგიურ პრაქტიკაში (ხელმძღვანელი აკად. ზ. ხელაძე, დოც. ნ. ჭიპაშვილი). ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიული სტომატოლოგიის, აგრეთვე ანესთეზიოლოგიის, კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინის კათედრებზე.

ნაშრომი კლინიკურ-ეხპერიმენტული ხასიათისაა. მასში შესწავლილია სტომატოლოგიურ პაციენტთა პსიქო-ემოციური სტატუსი, ჩამოყალიბებულია ამ კატეგორიის პაციენტებში სედაციის ჩატარების ჩვენებები და შემუშავებულია სედაციის ჩატარების ტექნიკა მიდაზოლამის ჯგუფის პრეპარატებით. ასევე მიდაზოლამის გავლენით შესწავლილია ექსპერიმენტულ ცხოველთა ქცევა და მათი თ/ტ-ის სისხლის მიმოქცევა.

13 მარტს წარმოდგენილი იყო ნინო ქაჯაიას დისერტაცია „ინტერლეიკინ-2-ის იმუნომამოძღვლირებელი ეფექტის შესწავლა კრიტიკულ მდგომარეობათა დროს“ (ხელმძღვანელი – აკად. ზ. ხელაძე.) შრომა შესრულებულია კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიის, კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინის კათედრაზე.

შრომა კლინიკური ხასიათისაა. შრომაში გაანალიზებულია ინტერლეიკინ-2 ეფექტურობა კრიტიკულ მდგომარეობათა დროს აღმოცენებულ ინფექციურ გართულებათა, მათ შორის სეფსისის, პრევენციისა და მკურნალობის მიზნით.

22 მარტს წარმოდგენილ იქნა არჩილ იაშვილის დისერტაცია „სამკურნალო დაცვითი ნარკოზის გავლენა იმუნურ სტატუსზე კრიტიკულ მდგომარეობათა დროს“ (ხელმძღვანელი – აკად. ზ. ხელაძე). შრომა შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

ანესთეზიოლოგიის, კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინის კათედრაზე აგრეთვე კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში. შრომა კლინიკური ხასიათისაა. ავტორის მიერ შესწავლილია დორმიკუმის და თიოპენტალის სამკურნალო-დაცვითი ნარკოზის დროს განვითარებული იმუნური სტატუსის ცვლილებები კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებში.

კიდევ ერთი სადისერტაციო ნაშრომი „პროგნოზულ-ინტეგრალური სისტემების შედარებითი ანალიზი სეფსისთან ასოცირებულ კრიტიკულ მდგომარეობათა დროს ბავშვებში“ (ავტორი: მაია ჩხაიძე, ხელმძღვანელი – აკად. ზ. ხელაძე, დოც. დ. ფრუიძე), წარმოდგენილი იქნება საჯარო დაცვისათვის უახლოეს ხანში. შრომა შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიასა და კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში.

## Summary

In 2006, there were three “Ph. D. theses” defended in a speciality of “Critical Care Medicine” in Georgia.

The protections of dissertations were held at the sessions of The Specialized Critical Care Medicine Scientific Council (14.00.37) of The Tbilisi State Medical University.

In 06.01.2006 Dr. Teona Kurcikidze had presented dissertation “The psycho-emotional status of the patients and criteria of sedative anaesthesia in ambulatory stomatological practice” (Academic adviser – prof. Z. Kheladze, assoc. prof. N. Chipashvili). The research was executed at The Chair of Therapeutical Stomatology and The Chair of Anaesthesiology, Critical Care and Catastrophe Medicine of Tbilisi State Medical University. The purpose of this clinical and experimental investigation was evaluation of the psycho-emotional status of stomatological patients and elaboration of indications of Midazolam sedative anaesthesia at ambulatory stomatological practice. Behaviour and brain hemodynamics after midazolam in the experimental animals were also studied.

In 13.03.2006 Dr. Nino Kadjaia defended Ph.D. thesis “The immune modulation effect of Interleikin-2 in prevention and treatment of sepsis in the critical patients” (Academic adviser – prof. Z. Kheladze). The research was executed at The Tbilisi Critical Care Medicine Institute and at The Chair of Anaesthesiology, Critical Care and Catastrophe Medicine of The Tbilisi State Medical University. The dissertation has clinical profile. The efficiency of IV.infusion of Interleikin-2 in prevention and treatment of sepsis in the critical patients was studied.

In 22.03.2006 Dr. Archil Iashvili defended Ph.D. thesis “The influence of protective anaesthesia on immune status in the critical patients” (academic adviser – prof. Z. Kheladze). The research has clinical profile. The influence of Dormicum and Thiopentalum-natrium on immune status in critical patients was investigated.

In the near future Dr. Maia Chkhaidze will present Ph.D.thesis “A comparative estimation of prognostically integrated systems in association with sepsis at critical care children”, executed The Tbilisi State Medical Academy and The Tbilisi Critical Care Medicine Institute (academic adviser – prof. Z. Kheladze, assoc. prof. D. Phruidze).